პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 6 მაისი, 1944 წ. № 92 (7036). ფასი 20 კაპ.

საქართველოში უმაგალითო წარმატებით ვრცელდება მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი. 5 მაისს ღამის 11 საათისათვის რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელმოწერამ შეადგინა 603.223.000 მანეთი.

ახალ სესხზე ხელმოწერა მთელი ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი მისი უსაზღვრო ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა!

საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაცია

წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში მიმდინარეობს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა. იგი გადაიქცა მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი მისი უსაზღვრო ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად. ახალ სესხზე ხელმოწერამ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო და მისი წარმატება კიდევ უფრო უმაგალითოა, გიდრე შარშან იყო.

რა არის ამის საფუძველი?

როცა საბჭოთა ადამიანები სახელმწიფოს სესხს აძლევენ, მათ იციან, რომ ამით იცავენ ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ თავისუფალ სოციალისტურ სამშობლოს, თავის ბედნიერებას, ღირსებას, დამოუკიდებლობას. ამიტომ ისინი არაფერს იშურებენ მტრის განადგურებისათვის, ერთსულოვნად ავრცელებენ ახალ სესხს, და თითქოს სწრაფ განაწესს აძლევენო, ამბობენ: დაე, სესხად გაღებული თვითეული ჩვენი მანეთი გადაიქცეს ტყვიად, თვითეული ობლიგაცია ყუმბარად გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული მოსპობის დასაჩქარებლად.

საბჭოთა სესხს ყოველთვის უდიდესი წარმატება ჰქონდა, განსაკუთრებით სამამულო ომის ვითარებაში. ყოველთვის უდიდესი იყო მისი ავტორიტეტი. საკმარისია ითქვას, რომ შარშან 12 მილიარდი მანეთის რაოდენობით გამოშვებული მეორე სამხედრო სესხი შვიდ დღეში 20 მილიარდ 823 მილიონ 32 ათასი მანეთის რაოდენობით გავრცელდა! ეს მართლაც უმაგალითო წარმატება იყო. მაგრამ საბჭოთა პატრიოტებმა წელს კიდევ უფრო მეტი ერთსულოვნება გამოიჩინეს.

უმაგალითო წარმატებით ვრცელდება ახალი სესხი საქართველოში. ბევრი მუშა, სპეციალისტი, მოსამსახურე, ინტელიგენტი სრული ნებაყოფლობით სესხად აძლევს სახელმწიფოს ერთი-ერთახევარი თვის ხელფასს. აღმაფრთოვანებელია კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი. ყვარლის მტს-ის კომბაინერმა ვ. ვარდანაშვილმა სახელმწიფოს სესხად მისცა 260.000 მანეთი. ზესტაფონის რაიონის ცხრაწყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა—150.000 მანეთისა. კასპის რაიონის სოფელ შუა-უბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნატალია შაყულაშვილმა და მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სამამულო ომის ინვალიდმა პეტრე გოგსაძემ ახალ სესხზე ხელი მოაწერეს ას-ასი ათასი მანეთის რაოდენობით. ასეთ მოწინავე ადამიანთა სია ვრცელია. იგი მკაფიოდ მეტყველებს კოლმეურნე გლეხობის უსაზღვრო სიყვარულზე საბჭოთა სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი.

5 მაისს, ღამის 11 საათისათვის საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 603.223.000 მანეთის რაოდენობით. შარშან კი ამავე ხნის განმავლობაში ხელმოწერილი იყო 365.933.000 მანეთზე. მარტო თბილისში ხელმოწერის თანხამ უკვე შეადგინა 98.412.000 მანეთი. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის რაიონებში სესხის გავრცელება ასეთ სურათს გვაძლევს: ორჯონიკიძის რაიონში ხელმოწერილია 11.217.000 მანეთზე, კიროვის რაიონში—8.629.000, ბერიას რაიონში — 21.524.000, მოლოტოვის რაიონში — 7.351.000, სტალინის რაიონში — 19.084.000, ლენინის რაიონში — 14.111.000, 26 კომისრის რაიონში — 16.496.000 მანეთზე.

რესპუბლიკაში დაწინაურდა გურჯაანის რაიონი, სადაც სესხი უკვე გავრცელებულია 23.183.000 მანეთის რაოდენობით. სამხედრო სესხი წარმატებით ვრცელდება დუშეთის რაიონში, სადაც ხელმოწერის თანხა უდრის 5.043.000 მანეთს, თიანეთის რაიონში — 4.188.000, ასპინძის — 3.680.000, კასპის — 7.240.000, ზესტაფონის — 7.521.000, სამტრედიის — 13.720.000, წითელწყაროს — 7.600.000, ზუგდიდის — 15.910.000, გორის — 13.900.000, ცაგერის — 3.000.000, ქუთაისის — 5.381.000, მახარაძის—16.340.000 მანეთს.

პირველმავე დღემ გვიჩვენა, რომ ახალ სესხზე ხელმოწერა ორგანიზებულად, მაღალ პოლიტიკურ დონეზე ტარდება. პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, სოფლის საბჭოები, რწმუნებულები, სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელმძღვანელი კომისიები წარმატებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. მოსახლეობაში ფართოდ არის გაშლილი აგიტაცია და პროპაგანდა. მთელი ძალით გაისმის ლოზუნგი:

— ორგანიზებულად ჩავატაროთ მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა, გავაძლიეროთ ჩვენი დახმარება ფრონტისადმი, მეტი იარაღი, საომარი მასალა, საჭურველი და სურსათი მივცეთ ძლევამოსილ წითელ არმიას!

და საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით, ერთსულოვნად აწერენ ხელს სამხედრო სესხზე, ჩვენი გამარჯვების სესხზე. მათ იციან—რაც უფრო წარმატებით გავავრცელებთ მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხს, მით უფრო მეტ დახმარებას გავუწევთ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა განადგურებაში.

საბჭოთა ადამიანების შრომითი მანეთები, რომლებიც მათ სესხად მისცეს სამშობლოს, მალე გადაიქცევიან ახალ საწარმოო გიგანტებად და მტრის წინააღმდეგ მრისხანე საბრძოლო იარაღებად. ეს მანეთები დაეხმარებიან განთავისუფლებულ რაიონებს, ხელს შეუწყობენ საომარ ღონისძიებათა წარმატებით დაფინანსებას და ამით მოაახლოებენ ჰიტლერული ტირანიის სრული მოსპობის ჟამს.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების სესხია!

— ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით დავეხმაროთ შემტევ წითელ არმიას მტრის სრული განადგურების დაჩქარებაში!

საქართველოში სესხი გავრცელებულია 603.223.000 მანეთის რაოდენობით

საქართველოს სს რესპუბლიკაში 5 მაისს ღამის 11 საათისათვის მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 603.223.000 მანეთს, ნაცვლად შარშანდელი შესაბამისი დროის განმავლობაში გავრცელებული 365.933.000 მანეთისა.

საქართველოს სოფლის მოსახლეობაში ამავე დროისათვის სესხი გავრცელებული იყო 301.680.000 მანეთის რაოდენობით, მუშათა და მოსამსახურეთა შორის — 229.522.000 მანეთისა და კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს შორის—72.021.000 მანეთის რაოდენობით.

სესხის სარეალიზაციოდ შემოსული ნაღდი თანხა უდრის 283.979.000 მანეთს. აქედან სოფლად შემოსულია 250.058.000 მანეთი, ხოლო კოლმეურნეობებმა და სარეწაო არტელებმა სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად შეოიტანეს 31.498.000 მანეთი.

ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა დაფარულია ქალაქად 9.522.000 მანეთის გადამეტებით, ხოლო სოფლად 51.680.000 მანეთის გადამეტებით.

ახალი სესხის უმაგალითო წარმატება

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა კავშირის მშრომელნი განსაკუთრებული ენტუზიაზმით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მე-3 სახელმწიფო სამხედრო სესხის — გმარჯვების სესხის გამოშვების შესახებ. სესხზე ხელის მოწერამ კვლავ დაგვანახა საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნობა, მათი სურვილი — არაფერი არ დაიშურონ ფრონტისათვის, წითელი არმიისათვის.

ეი რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი ამ მკაფიო პატრიოტული დემონსტრაციისა.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ კოლექტივმა ოთხი საათის განმავლობაში ხელი მოაწერა 4,5 მილიონ მანეთზე მეტს.

მოსკოვის მოლოტოვის სახელობის სპილენძსადნობი ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა საღამოს შვიდი საათისათვის სავსებით დაამთავრეს სესხზე ხელის მოწერა. მათ სახელმწიფოს სესხად მისცეს ერთი მილიონი მანეთი. ცეცხლფარეშმა აბიზოვმა, სამჭედლოს უფროსმა სოკოლოვმა და ბევრმა სხვამ სესხზე ხელი მოაწერა 3 თვის ხელფასის რაოდენობით.

მხურვალედ გამოეხმაურნენ ახალი სესხის გამოშვებას ლენინგრადელები. ერთ-ერთ ქარხანაშ. სესხის გამოშვების ცნობის გამოქვეყნებიდან უკვე ერთი საათის შემდეგ ხელმოწერამ ხელფასის თვიური ფონდის 127 პროცენტი შეადგინა. ფრონტელის ცოლმა ელექტროშემდუღებელმა კრილოვამ სესხზე ხელი მოაწერა ორი თვის ხელფასის რაოდენობით და სთქვა:

— ამჟამად მე ვმუშაობ ქმრის მაგივრადაც, რომელიც მტრისაგან იცავს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს სახლს, ჩვენს ბავშვებს. დაე ჩემი ფული მოხმარდეს საძულველი ჰიტლერული ხროვის საბოლოოდ განადგურების საქმეს.

ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას მე-3 სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ უკრაინის მშრომელნი. ქარხანა „არსენალის“ ყველა მუშამ 2 საათის განმავლობაში სესხზე ხელი მოაწერა თვენახევრის ხელფასის რაოდენობით.

წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელის მოწერა კოლმეურნეთა შორის. მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ კლიშევოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა სესხზე ხელი მოაწერეს 410 ათასი მანეთის რაოდენობით — ერთიანად უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე გასულ წელს, და იქვე მთელი თანხა ნაღდად შეიტანეს. ამ არტელის თავმჯდომარემ ამხ. ბუგაევმა ნაღდად შეიტანა 40 ათასი მანეთი, უფროსმა მეჯინიბემ ჩეერეპინმა — 10 ათასი მანეთი.

კიევის ოლქის ვასილკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ თავმჯდომარემ ამხ. კრუპამ მიტინგზე განაცხადა:

— მტრის განადგურებლად საჭიროა ტანკები, თვითმფრინავები და ზარბაზნები. მათს ასაგებად მე შემაქვს 5 ათასი მანეთი.

ასევე წარმატებით ჩატარდა ხელმოწერა უკრაინის სხვა კოლმეურნეობებშიც.

სამხედრო სესხზე ხელი მოაწერეს საბჭოთა მწერლებმა, არტისტებმა, ხელოვნების მუშაკებმა. პოეტმა კ. სიმონოვმა სახელმწიფოს სესხად მისცა 40 ათასი მანეთი, ნ. ჰოგოდინმა — 30 ათასი მანეთი, ა. ტოლსტოიმ—23 ათასი მანეთი, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. პაზოვსკიმ — 30 ათასი მანეთი და სხვ.

ასე ჰიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში მე-3 სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელის მოწერა.

მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ტყუილად როდი აცხადებენ, წითელი არმიისათვის არაფერს არ დაიშურებთო — ამ სიტყვებს ისინი ყოველდღე ახორციელებენ, და სესხზე ხელმოწერა ამისი ახალი დამამტკიცებელი საბუთია. (საკ. ინ.).

სსრ კავშირში ჩამოვიდა ურუგვაის დესპანი ბ-ნი ე. ფრუგონი

4 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა ურუგვაის საგანგებო დესპანი და სრულიუფლებანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ემილიო ფრუგონი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ე. ფრუგონის შეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით დავეხმაროთ ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვება

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის უდიდესი წარმატება საქართველოში

სესხზე ხელმოწერა თბილისში
5 მაისს ღამის 11 საათისათვის

გუშინ, 5 მაისს, ღამის 11 საათისათვის თბილისში მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი გავრცელებული იყო 98.412.000 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 105,8 პროცენტით. შარშან ამავე დროისათვის სესხის გავრცელების თანხა 78.889.000 მანეთს უდრიდა.

ქალაქის რაიონებიდან ყველაზე წინ მიდის ორჯონიკიძის რაიონი, სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 126 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 11.217.000 მანეთის რაოდენობით. მეორე ადგილი უჭირავს კიროვის რაიონს, სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 122 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 8.629.000 მანეთის რაოდენობით. შემდეგ მიდის ბერიას რაიონი, სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 113 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 21.524.000 მანეთის რაოდენობით. მეოთხე ადგილზე გამოდის მოლოტოვის რაიონი, მეხუთეზე — სტალინის რაიონი, მეექვსეზე — ლენინის რაიონი, ბოლოს — 26 კომისრის რაიონი.

დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებში

— თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სესხის გამოსვლის პირველ დღესვე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 1.447.865 მანეთს. სესხზე ხელმოწერა მთავრდება.

— თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის კოლექტივში მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის საერთო თანხამ 160.000 მანეთს გადააჭარბა.

— საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორებმა და სტუდენტებმა ხელი მოაწერეს 209.860 მანეთის სესხზე.

— საქპოტრებლის მესამე პოსასცხობ ქარხანაში პირველ დღესვე სესხზე ხელმოწერის თანხამ 209.860 მანეთი შეადგინა.

— თბილისის 26 კომისრის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა 4 მაისს ხელი მოაწერა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის 535.000 მანეთის ობლიგაციებზე.

— თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ალერთოვანებით აწერენ ხელს ახალ სამხედრო სესხს. ფაბრიკაში ხელმოწერის საერთო თანხამ ერთი საათის განმავლობაში 270.000 მანეთს გადააჭარბა.

— თბილისის სატვირთო სადგურის მუშა-მოსამსახურეთა შორის 5 მაისს დილის 8 საათისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 255.400 მანეთს შეადგენდა.

— თბილისის საბჭოს ალმასკომის კოლექტივმა მესამე სამხედრო სესხზე ხელმოწერა ერთ საათში დაამთავრა. ბევრმა ამხანაგმა ხელი მოაწერა ორი თვის ხელფასზე მეტი თანხის რაოდენობით.

საქართველოს მოწინავე რაიონები

საქართველოს სსრ შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოში გუშინ, ღამის 11 საათისათვის შეჯამებული ცნობების მიხედვით, რესპუბლიკის რაიონებს შორის მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გავრცელებაში მოწინავე ადგილებზე არიან:

გურჯაანის რაიონი, სადაც გუშინ ღამის 11 საათისათვის სესხის გავრცელების საერთო თანხა 23.183.000 მანეთს აჭარბებდა. სოფლად სესხი გავრცელებული იყო 19.131.000 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად შარშან ამავე ხნის, განმავლობაში გავრცელებული 8.408.000 მანეთისა. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა რაიონს შესრულებული აქვს 191 პროცენტით.

ზუგდიდის რაიონი. მოსახლეობაში სესხი გავრცელებულია 15.910.000 მანეთის რაოდენობით. აქედან სოფლად — 10.380.000 მანეთი, ხოლო ნაღდ ფულად შემოსულია 8.220.000 მანეთი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 127 პროცენტით.

წითელწყაროს რაიონი. რაიონის სოფლის მოსახლეობაში სესხზე ხელმოწერამ 7.600.000 მანეთი მოგვცა. აქედან ნაღდად არის შემოსული 6.600.000 მანეთი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 127 პროცენტით.

დუშეთის რაიონი. სოფლად ხელმოწერის თანხა უდრის 5.043.000 მანეთს. აქედან ახალი სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად შემოსულია 4.681.000 მანეთი ნაღდი ფული. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა რაიონში თითქმის ორმაგად არის შესრულებული.

თიანეთის რაიონი. სოფლის მოსახლეობაში სესხი გავრცელებულია 4.188.000 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად შარშან ამავე ხნის განმავლობაში გავრცელებული 1.470.000 მანეთისა. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა რაიონს შესრულებული აქვს 209 პროცენტით.

ასპინძის რაიონი. რაიონის სოფლის მოსახლეობაში ღამის 11 საათისათვის გავრცელებული იყო 3.680.000 მანეთის ობლიგაციები და თანხა მთლიანად ნაღდ ფულად არის შემოტანილი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა რაიონს შესრულებული აქვს 170 პროცენტით.

ზესტაფონის რაიონი. რაიონის სოფლის მოსახლეობაში სესხზე ხელმოწერამ 7.521.000 მანეთი შეადგინა, აქედან ნაღდად შემოსულია 6.021.000 მანეთი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 128 პროცენტით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 5 მაისს ღამის 11 საათისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 51.261.000 მანეთს უდრიდა. აქედან სოფლად გავრცელებული იყო 25.334.000 მანეთის ობლიგაციები.

5 მაისს ამავე საათისათვის ახალი სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ნაღდ ფულად შემოვიდა 24.344.000 მანეთი.

აჭარის ასს რესპუბლიკა

აჭარის ასს რესპუბლიკაში 5 მაისს ღამის 11 საათისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის საერთო თანხამ 33.588.000 მანეთს გადააჭარბა. აქედან სოფლის მოსახლეობაში სესხი გავრცელებული იყო 13.111.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან ნაღდ ფულად შეტანილია 7.669.000 მანეთი.

აჭარის ასს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის ამავე ვადისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 17.556.000 მანეთს მიაღწია. ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხა 5 მაისს ღამის 11 საათისათვის 18.041.000 მანეთს უდრიდა. ამ თანხიდან სოფლის მოსახლეობაში სესხი გავრცელებული იყო 11.494.000 მანეთის რაოდენობით.

ამავე ვადისათვის სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად ნაღდ ფულად შემოსული იყო 8.249.000 მანეთი.

გორი

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

რაიონის მშრომელთა შორის წარმატებით მიმდინარეობს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა. 5 მაისს საღამოს 5 საათისათვის ხელმოწერის საერთო თანხა 11.800.000 მანეთს შეადგენდა. აქედან რაიონის კოლმეურნეობამ ნაღდ ფულზე შეიძინეს 10.000.000 მანეთის ობლიგაციები.

გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 2-3 თვის ხელფასი. სოფელ ზემო ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მჭედლიძემ ნაღდ ფულზე შეიძინა 30.000 მანეთის ობლიგაციები. ამავე კოლმეურნეობის მოხუცმა კოლმეურნემ ა. ყურაშვილმა ხელი მოაწერა 4.000 მანეთის სესხზე და ფული იქვე შეიტანა. ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. საძაღლიშვილმა შეიძინა—30.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის წევრმა სამამულო ომის სახელოვანი მონაწილის ორდენოსან ბაგრატ ვაშაგაშვილის დედამ ნინო ვაშაგაშვილმა ხელი მოაწერა 15.000 მანეთის სესხზე, სამამულო ომის მონაწილემ ს. ლოლაშვილმა—20.000 მანეთზე. სესხზე დიდი თანხით ხელმომწერთა რაოდენობა ყოველ საათობით მატულობს.

შ. ჩუბინიძე

მახარაძე

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ერთსულოვნად აწერენ ხელს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხს.

სოფელ მელექედურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდ ფულზე შეიძინეს 270.000 მანეთის ობლიგაციები. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ქადეიშვილმა ნაღდ ფულზე შეიძინა 30.000 მანეთის ობლიგაციები, ხოლო კოლმეურნე 6 მგელაძემ—100.000 მანეთისა.

სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდად შეიტანეს სესხზე ხელმოწერის მთელი თანხა — 270.000 მანეთი. ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. კვაჭაძემ შეიძინა 20.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. მიქატაძემ ახალ სესხზე ხელი მოაწერა 50.000 მანეთის რაოდენობით. სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ჯაბუამ შეიძინა 40.000 მანეთის ობლიგაციები. გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მალაზონიამ და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მეგრელიძემ ნაღდად შეიძინეს 20.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა.

5 მაისს საღამოსთვის რაიონში გავრცელებული სესხის თანხამ 16.340.000 მანეთს მიაღწია.

ლ. ლოლაძე

წყალტუბო

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

წყალტუბოს რაიონში 5 მაისს დილის 10 საათისათვის სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 5.776.000 მანეთს შეადგენდა.

სოფელ მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში 5 მაისს დილისათვის გავრცელებული იყო 110.000 მანეთის ობლიგაციები. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ორდენოსანმა ი. ტყეშელაშვილმა ნაღდ ფულად შეიძინა 50.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ ფარცხანაყანევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ფხაკაძემ და ბრიგადირმა ა. ნოკუტბიძემ შეიძინეს 10.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა.

ს. ფხაკაძე

ყვარელი

(ტელეფონით)

სესხის გამოშვებაზე რადიოთი ცნობის მაღებისთანავე მთელ რაიონში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები და მაშინვე დაიწყო ხელმოწერა. კოლმეურნეები დიდი თანხებით აწერენ ხელს. უმეტესობას ნაღდი ფული შეაქვს ობლიგაციების გამოსასყიდად.

ყვარლის მტს-ის კომბაინერმა ამხ. ვ. ვარადაშვილმა ნაღდად შეიძინა 260.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის“ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილემ გ. ვარადაშვილმა ხელი მოაწერა 100.000 მანეთის სესხზე. სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ს. ბუჯიაშვილმა შეიძინა 100.000 მანეთის, ხოლო ამავე კოლმეურნეობის წევრებმა ნ. ბეუქლიშვილმა და დ. სეფაშვილმა—50.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა. სოფელ ყვარლის კოლმეურნეობა „ახალ წყაროს“ თავმჯდომარე ამხ. ა. სეფაშვილმა 100.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინა ნაღდ ფულზე.

სესხზე ხელმოწერის პირველ დღესვე ყვარლის რაიონის მშრომელებმა 2.500.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინეს.

სიღნაღი

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

სიღნაღის რაიონის მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სახელმწიფო სესხს. 4 მაისს ღამის 11 საათისათვის რაიონის მშრომელებს სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 10.300.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ნაღდად შემოსული იყო 4.400.000 მანეთი.

სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 500.000 მანეთის ობლიგაციებზე და ნაღდად შეიტანეს 300.000 მანეთი. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. ტარყაშვილმა ნაღდ ფულზე შეიძინა 50.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ ქვემო მაჩხაანში სესხზე ხელმოწერის თანხა 671.200 მანეთს უდრიდა აქედან ნაღდად შეტანილია 482.000 მანეთი. ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სამამულო ომის ინვალიდმა ბ. პეტრაშვილმა ნაღდ ფულზე შეიძინა 25.000 მანეთის ობლიგაციები.

ი. სიმონიშვილი

მაიაკოვსკი

(ტელეფონით)

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გავრცელებაში. მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ხელმოწერის თანხამ პირველ დღესვე 180.000 მანეთს მიაღწია. კოლმეურნეობის წევრმა, ომის ინვალიდმა პეტრე გოგსაძემ ხელი მოაწერა 100.000 მანეთის ობლიგაციებზე და იქვე შეიტანა ეს თანხა. კოლმეურნე ა. გოგნაძემ შეიძინა 30.000 მანეთის ობლიგაციები. კოლმეურნეებმა შ. ნებიერიძემ, ა. დოგრაშვილმა, ს. დვალიშვილმა კოლექტიურად შეიძინეს 40.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ წითელბევის საბჭოში 519.000 მანეთზე მოაწერეს ხელი და ობლიგაციების ღირებულება ნაღდად შეიტანეს; სოფელ დიმის საბჭოში 430.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინეს. ასევე წარმატებით დაიწყო ხელმოწერა სოფელ პირველი ობჩის დიმიტროვისა და ორჯონიკიძის სახელობის, მეორე ობჩის ორჯონიკიძის, XVIII პარტყრილობის და მიქიანის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონის მშრომელებს გუშინ, 5 მაისს საღამოსათვის ხელი მოწერილი ჰქონდათ 4.908.000 მანეთის სესხზე. აქედან ნაღდად იყო შეტანილი 3.162.000 მანეთი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 მაისის ოპერაციული ცნობა

5 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

4 მაისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა 35 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით 85 მანეთა მოწინააღმდეგის 74 თვითმფრინავი.

*** * ***

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲠᲢᲧᲐᲛᲔᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲡ

3 მაისს დღისით და ღამით ჩვენმა საჰაერო დაზვერვამ ღია ზღვაში აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ტრანსპორტების რამდენიმე ჯგუფი.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა ხერსონესის შუქურას დასავლეთით ორჯერ დაარტყეს მოწინააღმდეგის გემებს. ტორპედებით ჩაძირულია ორი კარჭაპი და 3.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

ფლოტის ავიაცია დღისით და ღამით თანმიმდევრულად ურტყამდა აღმოჩენილ მოწინააღმდეგის ტრანსპორტებსა და სხვა სანაოსნო საშუალებებს. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია 10.000-მდე ტონა საერთო წყალწყვის 4 ტრანსპორტი, ორი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი, მშრალი ტვირთის ერთი კარჭაპი და საგუშაგო კატერი. მოწინააღმდეგის ბევრი სხვა გემი დაზიანებულია.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ორი საათის ბრძოლის შედეგად გერმანელებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს 300-მდე თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. სხვა უბანზე 6 ნაწილის მეზვერავთა რაზმებმა უეცარი დარტყმით ხელთ იგდეს მტრის რამდენიმე ძელმწყური საცეცხლე წერტი.

* * *

ქალაქ ტირასპოლის სამხრეთით 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა ბრძოლითი დაზვერვა მოაწყეს. საბჭოთა მებრძოლები მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრნენ და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაუტეხეს. გერმანელებს წავართვეს 8 ტყვიამფრქვევი, 3 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 6Თ შაშხანა და ავტომატი.

მფრინავები უფრს ლეიტენანტ გოლჩინის მეთაურობით, რომლებიც საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდნენ, გერმანელთა თვითმფრინავების ჯგუფს შეხვდნენ. საბჭოთა მოიერიშეებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 6 ბომბდამშენი „იუნკერს-87“. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე დაბრუნდა.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტზე ჩვენი ავიაცია ურტყამდა გერმანელთა თავმოყრილ ჯარებს. დაბომბვისა და იერიშების შედეგად მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 34 თვითმფრინავი.

* * *

კალინინის ოლ

ცნობა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

საბჭოთა აღამიანების გაჟღეტა ჰიტლერელების მიერ პარტიზანი-ტიფის შეყრის საშუალებით

საგანგებო სახელმწიფო კომისიამ თავის წინანდელ ცნობებში გამოაქვეყნა მთელი რიგი დოკუმენტები, რომელნიც ჰიტლერულ მთავრობას და გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას ამხილებენ მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის ბასობრივ ელეტაში. გერმანელი ოკუპანტები და მათი თანამონაწილენი განსაკუთრებული ულმობელობით ეწეოდნენ საბჭოთა აღამიანების ტანჯვა-წამებასა და მასობრივ ხოცვას გერმანიის არმიის ზურგში მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში. არა მარტო სამხედრო, არამედ ყველა სხვა საოკუპაციო ხელისუფალნიც ამ ბანაკთა შექმნისათვის იმიზეზებდნენ ფრონტისპირა ზოლიდან საბჭოთა მოსახლეობის ევაკუაციის საჭიროებას.

„სიკვდილის ბანაკები" საბჭოთა აღამიანებისათვის გერმანელთა თავდაცვის წინაკიდესთან

ამჟამად დადგენილია, რომ გერმანელი ფაშისტი არამზადები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიის არმიის დამარცხებებთან და შეცვლილ ვითარებასთან დაკავშირებით შეუდგენენ საბჭოთა აღამიანების ტლეტის ახალი მხეცური მეთოდების ფართოდ გამოყენებას. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი არის საბჭოთა მოსახლეობასა და წითელი არმიის ნაწილებში პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის გავრცელება, რისთვისაც ჰიტლერელები, როგორც ეს გამოირკვა, სპეციალურ საკონცენტრაციო ბანაკებს აწყობენ თავიანთი თავდაცვის წინაკიდესთან.

1944 წლის 19 მარტს წითელი არმიის შეტევამ ნაწილებმა ბელორუსიის სს რესპუბლიკის პოლესიის ოლქის დაბა ოზარიჩის რაიონში გერმანელთა თავდაცვის წინაკიდეზე აღმოაჩინეს სამი საკონცენტრაციო ბანაკი, რომლებშიც 33 ათასზე მეტი ბავშვი, შრომის უნარმოკლებული ქალი და მოხუცი იმყოფებოდა. ეს ბანაკები განლაგებული იყო: პირველი — ჭაობში დაბა დერტის ახლოს; მეორე — 2 კილომეტრზე დაბა ოზარიჩის ჩრდილო-დასავლეთით; მესამე—ჭაობში 2 კილომეტრზე სოფელ პოდოსინიკის დასავლეთით.

ამ ბანაკების შექმნასთან დაკავშირებული გარემოებანი გამოიკვლია სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე პ. კ. პონომარენკო, ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. გ. გრიკოვა, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იაკუბ კოლასი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ე. გრიშკო, საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორი ა. ნ. საკოვიჩი, არმიის სანიტარული სამსახურის უფროსი პოდპოლკოვნიკი ვ. ნ. კოლოდკინი. სპეციალურ კომისიაში მონაწილეობას იღებდა საგანგებო სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელი დ. ი. კუდრიავცევი.

ბანაკები წარმოადგენდნენ ეკლიანი მავთულით შემოზღუდულ ღია მოედანს. მათი მისადგომები დანაღმული იყო. ბანაკების ტერიტორიაზე არ ყოფილა არავითარი შენობა, მსუბუქი ტიპისაც კი არა. პატიმრები პირდაპირ მიწაზე იყვნენ. მათგან ბევრნი, რომელთაც მოძრაობის უნარი დაკარგული ჰქონდათ, უგონოდ აწვნენ ტალახში. პატიმრებს აკრძალული ჰქონდათ ცეცხლის დანთება, ფიჩხის მოგროვება ქვეშ დასაგებად. ამ რეჟიმის დარღვევის შეცირედი ცდისთვისაც კი ჰიტლერელები ხვრეტდნენ საბჭოთა აღამიანებს.

თავდაცვის წინაკიდესთან საკონცენტრაციო ბანაკებს რომ ჰქმნიდნენ, გერმანელები, ჯერ-ერთი, ბანაკისათვის იქ ამოირჩევდნენ ხოლმე ადგილს, სადაც მათ იმედი არა ჰქონდათ, რომ თავიანთ პოზიციებს შეინარჩუნებდნენ; მეორეც, ბანაკში საბჭოთა აღამიანების დიდ მასებს რომ უყრიდნენ თავს, ჰიტლერელები ამ ბანაკში უმთავრესად ათავსებდნენ ბავშვებს, შრომისუნარმოკლებულ ქალებსა და მოხუცებს; მესამეც, ქანცგამოლეული და შრომისუნარმოკლებულ მოსახლეობასთან ერთად, რომელიც ანტისანიტარულ პირობებში იმყოფებოდა, ისინი ბანაკებში თავსებდნენ პარტახტიანი ტიფით ათასობით დაავადებულთ, რომლებიც სპეციალურად გამოჰყავდათ ბელორუსიის სს რესპუბლიკის დროებით ოკუპირებული სხვადასხვა რაიონებიდან. ბანაკებიდან განთავისუფლებულთა შორის იყო 15.960 ბავშვი 13 წლის ასაკამდე, 13.072 შრომისუნარმოკლებული ქალი და 4.448 მოხუცი. გამოკვლევით დადგენილია, რომ ფაშისტი არამზადები მთელ მშვიდობიან საბჭოთა მოსახლეობას თავს უყრიდნენ სატანაო ბანაკებში ვითომდა ფრონტისპირა რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაციისათვის.

ქალაქ ულლობინში გერმანელთა კომენდატურამ რადიოთი გამოაცხადა შემდეგი მოწოდება მოსახლეობისადმი: „ქალაქ ულლობინის მოქალაქენო, გერმანიის სარდლობა ღრმა ზურგში გგზავნის თქვენ, ვინაიდან წითელარმიელები არტილერიასა და ნაღმსტყორცნებს დაგიშენენ. ჩვენ გვსურს გიხსნათ ბოლშევიკების მხეცობისაგან და ღრმა ზურგში გგზავნით. თან წაიღეთ მთელი ბარგი, წაიყვანეთ ცხენები, ურმები, საქონელი. თან წაიღეთ ქვაბები და კოვზები, რადგან გზაში უზრუნველყოფილი იქნებით ცხელი საჭმლით. გაუგონეთ გერმანელ ჯარისკაცს, არ დაიმალოთ და არ გაიქცეთ. მთელი ქალაქი გარშემორტყმულია გერმანელთა ჯარებით. ყველა, ვინც კი შეეცდება დაიმალოს ან გაიქცეს, მოკლულ იქნება. გამოდით ქუჩაში და წადით იქით, სადაც გერმანელი ჯარისკაცები მიგითითებენ".

გერმანელმა ფაშისტმა ხელისუფლებმა წინასწარ შემუშავებული გეგმით მოაწყეს საეტაპო პუნქტები, სადაც მიერეკებოდნენ მთელ მშვიდობიან მოსახლეობას. ამ პუნქტებში გერმანელები წინასწარ გამოარჩევდნენ ხოლმე შრომისუნარიან მამაკაცებს, ქალებსა და 13 წლისაზე მეტი ასაკის ბავშვებს და კატორღულ სამუშაოზე გზავნიდნენ გერმანიაში, დანარჩენ ბავშვებსა და შრომისუნარმოკლებულ მოხრდილებს გზავნიდნენ თავდაცვის წინაკიდესთან მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში.

1944 წლის 9-დან 13 მარტამდე ჰიტლერელებმა სს-ელთა და მცველი პოლიციის გაძლიერებული ბადრაგით დაბა ოზარიჩის რაიონში მოწყობილ ბანაკებში ათიათასობით საბჭოთა აღამიანი მირეკეს სადგურ რუდობელის, რაბკორის, სტარუშკის, კრასნი ბერეგის რაიონებში მდებარე საეტაპო პუნქტებიდან და დასახლებული პუნქტებიდან—მიკულ-გოროდოკიდან, პოროსლაშჩიდან და მედვედეკიდან.

„1944 წლის 12 მარტს განთიადისას, — განაცხადა მასწავლებელმა ქალმა ე. მაზმა,— ჩვენ, ქალაქ ულლობინის მცხოვრებნი, გერმანელებმა მიგვიყვანეს სკოლის შენობასთან რკინიგზის ხაზს გადაღმა. აქ მათ გამოარჩიეს ყველა შრომისუნარიანი, ხოლო დარჩენილი მოხუცები, ბავშვები და ქალები ეშელონში ჩასხეს, 60-70 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად ცივ, გაუთბობელ ვაგონებში. განსაკუთრებით მძიმე ანტისანიტარულ პირობებში, სიცივესა და ტალახში მიგვიყვანეს სადგურ რაბკორამდე და სადგურიდან 3 კილომეტრზე მდებარე ბანაკში გავგზავნეს. სიცივეთა და შიმშილით ბევრი ბავშვი გაიყინა და დაიხოცა ვაგონებში, ბევრი მოხუცი, ქალი და ბავშვი გზაში დაიღუპა, ბანაკში რომ მივდიოდით".

ბანაკიდან განთავისუფლებულმა ლ. პეკარსკაიამ კომისიის აცნობა: „1944 წლის 12 მარტს საღამოხანს ჩვენ, ქალაქ ულლობინის მცხოვრებნი, გვიბიძგეს ნახევარ საათში შეეკრებილიყავით ულლობინ-იეფუსაიას სადგურზე. აქ გერმანელებმა ახალგაზრდები გამოარჩიეს და წაიყვანეს. გერმანელებმა თბილისებში შეგვყარეს და კარები დახშეს. ჩვენ არ ვიცოდით, სად მივყავდით, მაგრამ წინასწარ ვგრძნობდით, რომ კარგი არაფერი მოგველოდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჩვენ რუდობელკის შტოთი მივყავდით და 15 მარტს საღამოხანს გადმოგვსხეს. ღამე მუხლამდე საფლობ ტალახში გაგვრეკეს ბანაკისაკენ. ამ ბანაკიდან მეორე ბანაკში გაგვრეკეს. გზაში ბევრნი ვეცემდნენ, ვინც ჩამორჩებოდა, ხვრეტდნენ. აი მოდის ქალი, რომელსაც ახლავს სამი ბავშვი. ერთი პაწაწა წაიქცა, გერმანელებმა ტყვია დაახალეს მას. ხოლო როდესაც თავზარდაცემულმა დედამ და ორმა მისმა ბავშვმა უკან მიიხედეს, მხეცმა ჯარისკაცებმა რიგრიგობით მათაც ესროლეს. დედამ შემზარავი კივილი ატეხა, იგიც დაადუნა მიბრკნინთ ნიჩოლმა ტყვიამ. მოდიან ბედა-ჩვილი ბონდარევები. ბავშვმა ვერ ითანანა მომქანცველი გზა და წაიქცა. დედა დაიხარა, უნდოდა სიტყვით ენუგეშებინა ბავშვი, მაგრამ ვეღარ წამოდგა ვერც შვილი, ვერც დედა; ვეღარ იხილეს ცის ნათელი — გერმანელებმა დახოცეს ისინი".

სოფელ მალეცკაია რუდნიას მცხოვრებმა ა. ი. ლისოვიამ განაცხადა: „ბანაკში რომ მივდიოდით, დაღლილი საბჭოთა აღამიანების ჯგუფი დასასვენებლად ჩაჯდა. ჩვენმა მობადრაგე გესტაპოელმა ძაღლები მიუსია მათ; ძაღლებმა ძლიერ დაჰკბინეს კვიტკოვსკაია და სხვები".

საბჭოთა მეურნეობა „ავანგარდის" მცხოვრებმა მ. ბ. ბუსლოვმა განაცხადა: „ჩემ თვალწინ ბერგმანელებმა ბანაკში მოჰყავეს სოფელ მიხაილოვსკაიას მცხოვრები მოქალაქე კრეკი—სამი შვილის დედა—იმისათვის, რომ რამდენიმე ნაბიჯით გასცდა ეკლიან მავთულს, რათა ფიჩხი მოეგროვებინა და ცეცხლი დაენთო".

სოფელ კოვალკის მცხოვრებმა ხ. ო. მანკომ აჩვენა: „იმ მავთულთან, რომელიც შემოვლებული ჰქონდა ბანაკს, ამოღებული იყო ჭუჭყიანი ჭაობის წყლით ამოვსებული თხრილები. ბანაკებში დამწყვდეულ საბჭოთა მოქალაქეებს გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი არმიკვებდნენ ტანსაცმელს და ძვირფას ნივთებს, რაც კი მათ შერჩენოდათ.

სოფელ დავიდოვიჩის მცხოვრებმა ლ. დ. შჩულიარენკომ აჩვენა: „ბანაკში 50 გერმანელი ჯარისკაცი მოვიდა. მათ ხელში ჯოხები ეჭირათ. ისინი ჩხრეკდნენ პატიმრებს და, ვინაც კარგ ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს უპოვნიდნენ, ართმევდნენ. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ჯოხით სცემდნენ. მე თვითონ მინახავს, რომ გერმანელი ჯარისკაცები თავშალს, პალტოსა და ფეხსაცმელს აძრობდნენ ქალებს".

გერმანელი ფაშისტი ჯალათები განზრახ ავრცელებდნენ პარტახტიანი ტიფის ეპიდემიას საბჭოთა მოსახლეობაში

ზემონაჩვენები კომისიის მასალების საფუძველზე საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრმა აკადემიკოსმა ი. პ. ტრაინინმა და სასამართლო-სამედიცინო საექსპერტო კომისიამ მოახდინეს დამატებითი გამოკვლევა, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ გერმანელი სამხედრო ხელისუფალნი წინასწარი განზრახვით, პარტახტიანი ტიფის გავრცელების მიზნით, პარტახტიანი ტიფით დაავადებულთ ათავსებდნენ გერმანელთა თავდაცვის წინაკიდესთან მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში დამწყვდეულ ჯანსაღ მოსახლეობასთან ერთად. პარტახტიანი ტიფით დაავადებულნი გერმანელებს ამ ბანაკებში მოჰყავდათ ბელორუსიის სს რესპუბლიკის პოლესიის, მინსკის, გომელის და სხვა ოლქების დასახლებული პუნქტებიდან.

ბანაკში ნამყოფმა სოფელ ზაბოლოტიეს მცხოვრებმა მ. ბ. ლაბეზნიკოვმა კომისიას აცნობა: „ჩვენსას გერმანელები მოვიდნენ. მათ გაიგეს რომ ტიფით ვიყავი ავად, იმავე დღეს გამოგზავნეს ორი ჯარისკაცი და ცხენით წამიყვანეს ბანაკში".

სოფელ სოლონოვოს მცხოვრებმა ო. ა. შეპტუნოვამ სთქვა: „ჩვენი სოფლის მთელი მოსახლეობა გერმანელებმა მირეკეს სოფელ ვოროტინში, სადაც ბევრი იყო პარტახტიანი ტიფით ავადმყოფი. შემდეგ სოფელ ვოროტინის ყველა მცხოვრები ავადმყოფებთან ერთად გაგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკში, დაბა ოზარიჩის რაიონში".

ბანაკიდან განთავისუფლებულმა სოფელ ნოვო-ბელიცის მცხოვრებმა პ. ს. მიტროხოვიჩმა აჩვენა: „ჩვენ, პარტახტიანი ტიფით დაავადებულნი, წაგვიყვანეს სოფელ მიკულგოროდოკის რაიონში, ეკლიანი მავთულით შემოზღუდულ ბანაკში".

დაბა ნოვოგრუდოკის მცხოვრებმა ზ. პ. გავრილჩიკმა განაცხადა: „სამი დღე-ღამის განმავლობაში მანქანებით მოჰყავდათ ბანაკში პარტახტიანი ტიფით ავადმყოფნი, რის შედეგადაც ბანაკში დამწყვდეული ბევრი ჯანმრთელი ადამიანი ავად გახდა. 15 მარტს ღამით პარტახტიანი ტიფით ძალიან ბევრი პატიმარი დაიხოცა".

სოფელ პგანცის მცხოვრებმა ე. დუშევსკაიამ აჩვენა: „ჩვენ, პარტახტიანი ტიფით ავადმყოფები, გერმანელებმა ბანაკში გადაგვიყვანეს პარიჩის რაიონის სოფელ კოვჩიცადან. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენგან შეიძლებოდა ჯანმრთელებს შეჰყოროდა ტიფი და ვთხოვეთ გერმანელებს ჯანმრთელთაგან გავეცალკევებინეთ, მაგრამ მათ არაფითარი ყურადღება არ მოგვაქციეს".

ფაშისტები თავდაცვის წინაკიდესთან მოწყობილ ბანაკებში ათავსებდნენ არა მარტო საეტაპო პუნქტებიდან გაყვანილ ჯანმრთელებსა და ავადმყოფებს, არამედ სპეციალურადაც კი მოჰყავდათ ბანაკებში პარტახტიანი ტიფით დაავადებული საბჭოთა მოქალაქენი საავადმყოფოებიდან და ლაზარეთებიდან.

სოფელ ხამოშჩანის მცხოვრებმა ავადმყოფმა ნ. პ. ტრეტიაკოვმა განაცხადა: „მე შუა თებერვალში გავხდი ავად, რის შემდეგაც სოფელ ლესკის საავადმყოფოში მომთავსეს. საავადმყოფოში იატაკზე ვიწექი, ტანთგაუხდელი. არავითარი მკურნალობა არა მქონია. შემდეგ საავადმყოფოდან გერმანელებმა სოფელ დერტის მახლობლად მდებარე საკონცენტრაციო ბანაკში გამგზავნეს".

ამ ლონისძიებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ჰკრებს სახსრებს უმთავრესად სოციალისტური მეურნეობის — ჩვენი ბიუჯეტის ძირითადი საშემოსავლო წყაროს შინარეესურსებიდან. მაგრამ ბიუჯეტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე მოსახლეობის სახსრები, მათ შორის მასობრივ სესხთა რეალიზაციით შემოსული სახსრები. წელს სესხით შემოსული თანხებითა და ფულისა და ნივთების ლატარიის ჩატარებით გათვალისწინებულია დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების დაახლოებით 12 პროცენტი.

ახალი სესხი, ისევე როგორც წინანდელი სამხედრო სესხები, შესდგება ორი გამოშვებისაგან — ნომგებიანი და პროცენტიანი გამოშვებისაგან. პირველი მათგანი ვრცელდება მოსახლეობაში, მეორე კი — კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებში.

სესხის ვადა 20 წელია. მომგებიანი გამოშვების შემოსავალი ანაზღაურებულ იქნება მოგებათა სახით. მათი საერთო თანხა საშუალოდ წლიურ 4 პროცენტს შეადგენს. მოგება დაწესებულია 50 ათასი, 25 ათასი, 10 ათასი, 5 ათასი, 1 ათასი, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით.

საბჭოთა სესხებს მარტო დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა როდი აქვთ; ისინი უშუალო პირადს ინტერესსაც წარმოადგენენ ყოველი ხელისმოწერისათვის, რადგან მას უზრუნველჰყოფენ გარკვეული შემოსავლით მოგებათა სახით. ამ მიზნით ყოველწლიურად, 1945 წლიდან მოკოდებული, მოეწყობა ორი ტირაჟი. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად გათამაშდება 4.312.500 მოგება, რომლებითაც სესხის მფლობელნი საერთო რაოდენობით 1.150.700 ათას მანეთს მიიღებენ, რაც 5 წლის განმავლობაში შეადგენს 5.753.500 ათას მანეთს.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი, უეჭველია, უადრესად მხურვალე მხარდაჭერას განკუთვნილია თავდაცვის სახალხო კომისარიატსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის დასაფინანსებლად.

წელს მნიშვნელოვნად დიდდება ასიგნობანი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამ მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯები შეადგენენ 44,7 მილიარდ მანეთს — შარშანდელზე 13,6 მილიარდი მანეთით მეტს. ესოდენ დიდი მატება (43,7 პროცენტი), უეჭნარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ საჭიროა უფრო სწრაფად აღდგენილ იქნას განთავისუფლებულ რაიონებში ჰიტლერელი ავაზაკების მიერ დანგრეული მეურნეობა. ამისათვის გათვალისწინებულია 16 მილიარდ მანეთამდე. დიდი თანხა — 51,4 მილიარდი მანეთი გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — განათლებისა, ჯანმრთელობის დაცვისა, სოციალური უზრუნველყოფისათვის, სამხედრო მსახურთა ოჯახებისათვის პენსიებისა და დახმარების მისაცემად და სხვ.

ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ჰკრებს სახსრებს უმთავრესად სოციალისტური მეურნეობის — ჩვენი ბიუჯეტის ძირითადი საშემოსავლო წყაროს შინარესურსებიდან. მაგრამ ბიუჯეტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე მოსახლეობის სახსრები, მათ შორის მასობრივ სესხთა რეალიზაციით შემოსული სახსრები. წელს სესხით შემოსული თანხებითა და ფულისა და ნივთების ლატარიის ჩატარებით გათვალისწინებულია დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების დაახლოებით 12 პროცენტი.

ახალი სესხი, ისევე როგორც წინანდელი სამხედრო სესხები, შესდგება ორი გამოშვებისაგან — ნომგებიანი და პროცენტიანი გამოშვებისაგან. პირველი მათგანი ვრცელდება მოსახლეობაში, მეორე კი — კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებში.

სესხის ვადა 20 წელია. მომგებიანი გამოშვების შემოსავალი ანაზღაურებულ იქნება მოგებათა სახით. მათი საერთო თანხა საშუალოდ წლიურ 4 პროცენტს შეადგენს. მოგება დაწესებულია 50 ათასი, 25 ათასი, 10 ათასი, 5 ათასი, 1 ათასი, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით.

საბჭოთა სესხებს მარტო დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა როდი აქვთ; ისინი უშუალო პირადს ინტერესსაც წარმოადგენენ ყოველი ხელისმოწერისათვის, რადგან მას უზრუნველჰყოფენ გარკვეული შემოსავლით მოგებათა სახით. ამ მიზნით ყოველწლიურად, 1945 წლიდან მოკოდებული, მოეწყობა ორი ტირაჟი. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად გათამაშდება 4.312.500 მოგება, რომლებითაც სესხის მფლობელნი საერთო რაოდენობით 1.150.700 ათას მანეთს მიიღებენ, რაც 5 წლის განმავლობაში შეადგენს 5.753.500 ათას მანეთს.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი, უეჭველია, უადრესად მხურვალე მხარდაჭერას ჰპოვებს მშრომელთა ფართო მასებში. ჩვენი საქმეთა ოლოგის ყოველი მოქალაქე ღირსების საქმედ მიიჩნევს — მისცეს სესხად სახელმწიფოს თავისი სახსრები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქმე თვითდინებაზე მივუშვათ. ხელისმოწერის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მწყობრად და სანიმუშოდ იქნება დაყენებული ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა სესხის გასავრცელებლად.

პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულ-მოზგანიზაციებმა, საფინანსო ორგანოებმა, ხელშემწყობმა კომისიებმა და სოფლსაბჭოებიც რწმუნებულებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ სესხზე ხელისმოწერა ერთსულოვნად და ორგანიზებულად ჩატარდეს, რომ ხელისმოწერათა რიგებში ჩაბმულ იქნას ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, ფართოდ უნდა გაიაღდეს მასობრივი მუშაობა მოსახლეობაში. რაც უფრო თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად იქნება განმარტებული ახალი სესხის მნიშვნელობა და მიზნები, მით უფრო წარმატებით და უფრო სწრაფად ჩატარდება ხელისმოწერა. მით უფრო დიდი იქნება მისი შედეგები. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთო, რომ კარგად ჩატარებული ხელისმოწერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სესხის დარგში მთელი მუშაობის წარმატებითს დაგვირგვინებას. ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სესხის თანხების დროულად შემოსვლა.

ახალი სესხის გავრცელება ტარდება ლოზუნგით: „სამი-ოთხი კვირის ხელფასი მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხს!" ასეთივე ლოზუნგით მიმდინარეობდა სესხის რეალიზაცია შარშანაც. მაგრამ ძალიან ბევრმა მუშამ და მოსამსახურემ მაშინ გაცილებით მეტი თანხა მისცა სესხად სახელმწიფოს. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ერთი თვის ხელფასზე და მეტზე ხელისმოწერა წელს კიდევ უფრო მასობრივი მოვლენა გახდება.

ახალი სესხის წარმატებით გავრცელების დიდი შესაძლებლობა არის სოფლად. კოლმეურნე მასების გაზრდილი აქტივობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით კოლმეურნეთა დიდი საბაზრო შემოსავალი ყველა პირობებს ჰქმნის იმისათვის, რომ სესხზე ხელისმოწერა სოფლად სწრაფად და ორგანიზებულად ჩატარდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ წარსული წლების მაგალითისა-ებრ ბევრი კოლმეურნე დიდ თანხებზე მოაწერს ხელს და ნაღდ ფულად შეიტანს ამ თანხებს. 1943 წელს კოლმეურნეთა უმრავლესობა ხელს აწერდა ათასიდან 5 ათასამდე მანეთის რაოდენობით, ბევრი კი 10, 25, 50, 100 ათასი მანეთისა და მეტი რაოდენობით. საბჭოთა პატრიოტებს ამ შესანიშნავ ინიციატივას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი და მას შესახებ უნდა ეუამბოთ მოსახლეობის ფართო მასებს.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოფლის პირობებში ყველაზე უკეთესია სესხის სახსრები თვით ხელმოწერის დროს ავიღოთ. ხელისმოწერასთან ერთდროულად ობლიგაციების მთელი ღირებულების ანაზღაურება შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს და საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიურ შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ შარშან მეორე სამხედრო სესხის გავრცელების დროს ბევრი რაიონის კოლმეურნეებს ნაღდ ფულად შეჰქონდათ ხელისმოწერის მთელი თანხა. საკმარისია ითქვას, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში პირველი ხუთი დღე-ღამის განმავლობაში კოლმეურნეებმა ხელისმოწერის მთელი თანხების 50 პროცენტზე მეტი შეიტანეს.

ამ პრაქტიკამ ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს წელსაც. რაც უფრო ადრე შეპოვა სესხის სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტში, მით უფრო სწრაფად იქნება ეს სახსრები გამოყენებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძალიერების განსამტკიცებლად.

მესამე სამხედრო სესხი ვრცელდება აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს შორის მათი საერთო სახსრების ხარჯზე. ამისათვის გათვალისწინებულია პროცენტიანი გამოშვება. ჩვენს კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს თავისუფალი სახსრები ჰოეჰვებათ, რაც მათ შეუძლიათ და კიდეევაც უნდა მისცენ სესხად სახელმწიფოს. კოლმეურნეობათა და სარეწაო არტელთა გამგეობანი, რომელნიც თავიანთ წევრთა საერთო კრებებზე გადასწყვეტენ ამ საკითხს, ამით მცირე დახმარებას როდი გაუწევენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძალიერების განმტკიცების საქმეს.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი ჩვენი სამშობლოს ძალიერების განმტკიცების, მტერზე ჩვენი მომავალი გამარჯვების სესხია.

ამხანაგმა სტალინმა 1944 წლის საპირველმაისო ბრძანებაში წითელ არმიას, მთელ საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა — გასწმინდონ ფაშისტ დამპყრობთაგან მთელი ჩვენი მშვიდ-წყალი, აღადგინონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოო საზღვრები მთელ ხაზზე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე და საბოლოოდ განადგურონ დაჩრილი გერმანელი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში.

„ომებში, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი — ამბობს ამხანაგი სტალინი, — აღსავსეა გადაწყვეტილებით — დაიჩქაროს მტრის განადგურება, მთლიანად აღადგინოს ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადოს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული".

ახალ სესხზე ერთსულოვანი და ორგანიზებული ხელისმოწერით ჩვენი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენი მძლავრი სამშობლოს ძალასა და სიმტკიცეს, საბჭოთა ადამიანების ერთიანობასა და ურყევ ნებისყოფას ჰიტლერელ დამპყრობლებზე გამარჯვებისადმი, თავის უსაზღვრო სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი!

ლეკვები

ამერიკელი პრესა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა ელჩისა მარშალ ამხანაგ ი. ბ. სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესახებ

ნიუ-იორკი, 4 მაისი (საკდესი). ამერიკის პროვინციული პრესა, ისე როგორც დედაქალაქის გაზეთებიც, მხურვალედ მიესალმება უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის საპირველმაისო ბრძანებას.

დეტროიტის გაზეთი „ფრი პრესი" ეხება ამხანაგ სტალინის ბრძანების იმ განყოფილებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მხოლოდ კომბინირებულ დარტყმის აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შეუძლია სრულიად გაანადგუროს ჰიტლერული გერმანია, და სწერს, რომ მთელი მსოფლიო მოუთმენლად და სულგანაბული ელოდება კაცობრიობის თავისუფლებისათვის უდიდესი ბრძოლის დაწყებას. გაზეთი „ბოსტ დისპეჩი" აღნიშნავს, რომ კოორდინირებული დარტყმის აუცილებლობა გერმანიის საბოლოოდ განადგურებისათვის უდავოა. შეჭრა, — სწერს გაზეთი, — რთული ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ მისი შესრულება უდიდეს წილად გადაჭილებულია წითელი არმიის გამარჯვებათა მეოხებით. „გამარჯვებანი, რომლებსაც სტალინი გველოდაცვს, — სწერს გაზეთი, — წარმოადგენს არა მარტო რუსთა, არამედ ყველა მოკავშირის ზეიმს. განთავისუფლებული საბჭოთა მიწა-წყლის ყოველი ახალი მილი, წითელი არმიის მიერ ყოველი ახალი ნაცისტური დივიზიის განადგურება ახლოებს მეორე ფრონტის დასაწყისს და საბოლოო გამარჯვების მომენტს".

ფილადელფიის გაზეთი „ბიულეტინი" აღნიშნავს, რომ „სტალინის ბრძანება გამოთქმულია მოკლედ, პირდაპირ და არავითარ ეგოიზმს არ შეიცავს". ვაშინგტონის გაზეთი „ოვნინგ სტარი" აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტალინმა რეალისტურად შეაფასა სამხედრო მდგომარეობა. წითელი არმიის დარტყმების შედეგად, — სწერს გაზეთი, — ნაცისტური სამხედრო მანქანა კრახის წინაშე იმყოფება, მაგრამ სტალინი გიფრთხილებას იძლევა, გააფთრებული ბრძოლები კიდევ მოგველისო.

გაზეთი „კურანტი" (გამოდის კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდში) სწერს, რომ სტალინი თავის ბრძანებაში რეალისტურად მიუდგა არა მარტო სამხედრო პრობლემებს, არამედ გერმანიის სატელიტების მდგომარეობის პოლიტიკურ პრობლემასაც. „სტალინის განცხადებას, — სწერს გაზეთი, — მხედველობაში აქვს თავისუფალი მსოფლიოს შექმნა, რომლისკენაც მიისწრაფიან რუსები და მათი მოკავშირენი და რომელშიც გაბატონებული იქნება ხალხი. ჩვენ მთელი სულითა და გულით ვიზიარებთ ასეთ რეალიზმს".

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ „ლიბერეიტორის" მარკის თვითმფრინავთა მცირე შენაერთი ავიაგამანადგურებელთა თანხლებით 5 მაისს თავს დაესხა გერმანიის სამხედრო ნაგებობებს პა-დე-კალეს რაიონში.

ინგლისის თვითმფრინავები 4 მაისს ღამით თავს დაესხნენ ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

სსრ კავშირისადმი დახმარების კანადის კომიტეტის საქმიანობა

ოტავა, 5 მაისი (საკდესი). გაზეთმა „სტარმა" (გამოდის ტორონტოში) გამოაქვეყნა დაწვრილებითი ანგარიში რუსეთისადმი დახმარების კანადის კომიტეტის საქმიანობის შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 1942 წლის ნოემბრიდან 1944 წლის მარტამდე განვლილ პერიოდში კომიტეტმა 5.673.884 დოლარი შეაგროვა. კომიტეტმა უკვე გაგზავნა საბჭოთა კავშირში 4.462.248 დოლარის საერთო თანხის საქონელი.

რეიხერის საკავენგო ინაღიიში წმენდის ჩავარების შესახებ

ლონდონი, 5 მაისი (საკდესი). რეიტერის საგენტო ნეაპოლიდან გადმოგვცემს თავისი სპეციალური კორესპონდენტის ცნობას, რომ იმ გადაწყვეტილების ძალით, რაც მიღებულია მინისტრთა კაბინეტის დღევანდელ სხდომაზე, დაუყოვნებლივ შეუდგებიან იტალიის ადმინისტრაციის წმენდას.

ამ სხდომაზე განხილეს ყველა საზოგადოებრივი ორგანიზა